

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგითი

სხდომის ოქმი N 15

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

15.10.2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსანდრე ლილუაშვილი.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგობერიძე, კობა ტოხვაძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარბეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ივანე კორძაძე, მალხაზ ცერცვაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, დავით ადეიშვილი, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: გელა ჩიკვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, თამთა დვალიშვილი, ოლეგი მიქელთაძე, ბიჭიკო პაიკიძე, გია ხარაბაძე, რობიზონ ფუტკარაძე, შალვა ლორთქიფანიძე, გელა ღვტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით კაკაბაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი.

(დანართი: N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - **ლუიზა ჯოგლიძე.**

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსი - **დავით გაბუნია.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭიშვილი.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი - ვანდა გიორგაძე.

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 14⁰⁰ საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დღის წესრიგი

1. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით გაბუნია

2. „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დავით გაბუნია

3. ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N179 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.

მომხს. ვანდა გიორგაძე

4. ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.

მომხს. ზვიად კაპანაძე

5. ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 მარტის #27 4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. მამუკა ნამიჭივილი

წარმოდგენილი პროექტისადმი შენიშვნები არ გამოთქმულა. ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე -19

წინააღმდეგი - არცერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა დავით გაბუნია წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილების N1 დანართში შევიდა ცვლილება და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: ვანის მუნიციპალიტეტის მერია უფლებამოსილია ერთიანი საქმისწარმოების პროგრამაში სრულფასოვანი მუშაობისა და ფუნქციონირებისათვის, მათ შორის: სოციალური დახმარების, ჯანმრთელობის დაცვის, სკოლამდელი სღზრდის ხელშეწყობის, სატრანსპორტო პოლიტიკის განხორციელების, ადამიანური რესურსების მართვის და სხვა მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული სათანადო სელშეკრულების საფუძველზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პერსონალური მონაცემები. 2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერსონალურ მონაცემებში იგულისხმება: ა) სახელი; ბ) გვარი; გ) პირადი ნომერი; დ) დაბადების თარიღი; ე) სქესი; ვ) მოქალაქეობა; ზ) ინფორმაცია საქართველოში კანონიერად ყოფნის საფუძვლის შესახებ; თ) ინფორმაცია პირის მისამართზე რეგისტრაციის შესახებ; ი) ფოტოსურათი.

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვიტეს: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 ნოემბრის N29 დადგენილების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N25)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა დავით გაბუნია წარმოადგინა დადგენილების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა

რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება ამ დადგენილებაში არის ის, რომ დაემატა ხელშეკრულებით დასაქმებული ერთი პირი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამტატო ნუსხის, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცებისა და ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის და შრომითი ანაზღაურების განსაზღვრის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

(დადგენილება N 26)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანდა გიორგაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N179 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ვანის მუნიციპალიტეტს 2020 წლის 19 აგვისტოს გამოეყო თანხა. გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება გამარჯვებულ კომპანიასთან. ხელშეკრულების ღირებულება 988 888,00. ვინაიდან აღნიშნული პროექტის ღირებულება შეადგენს ვანის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 5,9 % წარმოვადგინეთ აღნიშნული განკარგულება დასამტკიცებლად.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N179 ხელშეკრულების დამტკიცების თაობაზე.“

(განკარგულება N 27 25)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზვიად კაპანაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ ობიექტების ჩამონათვალი, რომლების შეტანილია საპრივატიზებო ნუსხაში.

1 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ყუმურში მდებარე 420 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ს/კ 31.05.23.063), საწყისი საპრივატიზებო საფასური 100 (ასი) ლარი. 2. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზეინდარში მდებარე 3285 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული 1074.23 კვმ შენობანაგებობა (ს/კ 31.17.25.208), საწყისი საპრივატიზებო საფასური 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარი. 3 ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე 45 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.22.340), საწყისი საპრივატიზებო საფასური 1600 (ათას ექვსასი) ლარი. 2.4 ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. გადიდში მდებარე 30 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.20.22.144), საწყისი საპრივატიზებო საფასური 300 (სამასი) ლარი. 4. ქ. ვანში, სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 80 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.25.227), საწყისი საპრივატიზებო საფასური 8000 (რვაათასი) ლარი. 5. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ციხესულორში მდებარე 68 კვმ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.16.22.223), საწყისი საპრივატიზებო საფასური 3400 (სამი ათას ოთხასი) ლარი. 6. ვანის მუნიციპალიტეტში, სოფ. შუამთაში მდებარე 12 კვმ არასასოფლოსამეურნეო

დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.03.25.336), საწყისი საპრივატიზებო საფასური 600 (ექვსასი) ლარი. 7. ქ. ვანში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე 58 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 31.01.26.447), საწყისი საპრივატიზებო საფასური 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარი.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში მუნიციპალური საკუთრების ობიექტების შეტანის და საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხაში შეტანილი ობიექტების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების განსაზღვრის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 26)

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 მარტის #27 4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 მარტის #27 4 განკარგულებაში, განკარგულების დანართში შევიდეს ცვლილება:

განსახორციელებელი პროგრამიდან (არსებული ჩამონათვალის დანართი) ამოღებული იქნას პროექტები: 1. ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედავანში „ჭაბურღილის მოწყობა“ 1000 ლარი.

2. დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრითში „საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია გაბუნების უბანში“ 1000 ლარი.

პროგრამას დაემატოს ახალი პროექტი და შეტანილი იქნას შესაბამისი ცვლილება (არსებული ჩამონათვალის დანართში) : ზედავანის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ.

ზედავანში „ადმინისტრაციული შენობის და სკვერის კეთილმოწყობა“ 1000 ლარი.

დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ისრითში გაბუნების უბანში საცალფეხო ხიდის რეაბილიტაციისთვის მასალების შექმნა“ 1000 ლარი

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეტის: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში 2020 წელში განსახორციელებელი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასახლებების მიხედვით შერჩეული პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 03 მარტის #27 4 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.“

(განკარგულება N 27 27)

საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე